

NEWSLETTER



ბიზნესისა და
ტექნოლოგიების
უნივერსიტეტი



ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი 6 წლისაა!

- 7500-მდე ჩარიცხული სტუდენტი
- 8 აკრედიტებული პროგრამა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე
- სწავლება საერთაშორისო სტანდარტებით
- 75-მდე პარტნიორი უნივერსიტეტი და 110 გაცვლითი პროგრამა
- 15+ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვება
- 65-მდე ინსტიტუციური განვითარების საერთაშორისო პროექტი
- სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, ვპარტიორობთ შემდეგ ქვეყნებთან:
აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ბელგია, უკრაინა, ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია, შვედეთი, თურქეთი, ისრაელი, პორტუგალია, სლოვენია, სლოვაკეთი, ჩინეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, მაკედონია, ავსტრია, ნიდერლანდების სამეფო, სერბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ინდონეზია, ყაზახეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინაც, აზერბაიჯანი, და სომხეთი
- MIT (მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის) ინოვაციური ქსელის (MIT - Martin Trust Center) წევრობა
- საგანმანათლებლო რესურსებისა და წიგნების თარგმნა: მეწარმეობის, ინოვაციებისა და მარკეტინგის მიმართულებით
- Harvard-ის MOC Affiliate Network-ის წევრობა
- 1000-მდე ქალის გადამზადება ტექნოლოგიებში
- საანგარიშო პერიოდში, BTU-ში სწავლა 435-მა სტუდენტმა დაასრულა

სასწავლო

ახალი ინსტიტუციური თანამშრომლობები (ორმხრივი თანამშრომლობა)

გაფორმდა ახალი ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება სოფლიოს შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ვებსტერის უნივერსიტეტი, აშშ
- ვილნიუსის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიეტუვა
- ვილნიუსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ლიეტუვა
- ევროპის ბიზნესის სკოლა, ესპანეთი
- საპრეზიდენტო უნივერსიტეტი, ინდოეთი
- დონეცკის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი, უკრაინა

ახალი/განახლებული ინსტიტუციური თანამშრომლობები (ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მოხილობის პროგრამები)

- კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
- რომის საპიენცის უნივერსიტეტი, იტალია
- მესინის უნივერსიტეტი, იტალია
- რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პოლონეთი
- პოვისლანსკის უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ბიადისტოკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პოლონეთი
- ბრაგანზის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია

- კირილისა და მეთოდის სახელობის უნივერსიტეტი ტრნავაში, სლოვაკეთი
- ლუბლიანის ბიზნესის სკოლა, სლოვენია
- ონდოკუზ მაისის უნივერსიტეტი, თურქეთი
- ბაიბურთის უნივერსიტეტი, თურქეთი
- ჯოორჯ ასაჩის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი, რუმინეთი

საზაფხულო სკოლები

ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის 12-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ევროპული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ შემდეგ საზაფხულო სკოლებში:

- კავკასიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა, კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი - თბილისი, საქართველო
- STEM Study Visit - ნეაპოლი, იტალია
- Energy Around Us - ლატვია

საერთაშორისო ასოციაციების/ორგანიზაციების წევრობა და პარტნიორობა

CHECK POINT SECURE ACADEMY

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი გახდა ამერიკულ/ებრაული ორგანიზაციის Check Point-ის პირველი პარტნიორი საქართველოში. პარტნიორობის ფარგლებში, BTU-ს სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ, სრულიად უფასოდ გაიარონ გადამზადების კურსები CCAS, CCCS, CCSA, CCSE-ის მიმართულებით, შესაბამისი სასწავლო კურსები ისწავლონ განახლებული და ლიცენზირებული მასალებით და აკადემიის კურსდამთავრებულის სტატუსით მოხვდნენ საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე.

თანამშრომლობა, ასევე, მიზნად ისახავს, BTU-ს კიბერუსაფრთხოების ლაბორატორიისთვის ლიცენზირებული პროგრამების მიწოდებას, აკადემიური პერსონალის შესაბამისი მიმართულებებით გადამზადებას/სერტიფიცირებას და სპეციალური სესიების ორგანიზებას Check Point-ის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით. 2022 წლის სექტემბერში პროფესორმა ვლადიმერ ადამიამ გაიარა CCSA-ის პირველი გადამზადების კურსი.

EUMMAS

გრძელდება ევროპის მარკეტინგისა და მენეჯმენტის ასოციაციასთან აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა პროექტისა და ერთობლივი აქტივობების განსახორციელებლად.

პირველი საპროექტო განაცხადი - ერაზმუს მუნდუსის დიზაინის შექმნის პროექტი: Data Driven Digital Marketing, რომელშიც ასოციაციის 6 პარტნიორი ინსტიტუცია და თავად EUMMAS-ია ჩართული.

ALGO FOUNDRY

თანამშრომლობა მიზნად ისახავს IT მიმართულების 50 სტუდენტის გადამზადებას/სერტიფიცირებას ბლოკჩეინისა და ალგორანდის ახალი პროგრამირების ენის მიმართულებით.

TRANSFORM SUPPORT HUB MEMBERSHIP

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური გახდა ამერიკული TRANSFORM Support Hub-ის წევრი.

STARTUP GRIND MEMBERSHIP

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი UNDP-ის მხარდაჭერით გახდა Startup Grind-ის საერთაშორისო ქსელის წევრი.

BTU საერთაშორისო ინიციატივა Moving World-ის პარტნიორი გახდა, თანამშრომლობის ფარგლებში, BTU -ს გაეხსნება წვდომა ინოვაციურ სასწავლო მეთოდებზე, გადამზადების პროგრამებზე, მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ პრობონო კონსულტანტებსა და მენტორებზე

საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია

ევროკავშირის დაფინანსებით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კოორდინირებით 2022 წლის სექტემბრიდან პრესტიჟული ერაზმუს მუნდუსის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დიზაინის შექმნის პროექტი იწყება.

პროექტის ძირითადი პარტნიორები:

- ვერსალის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
- ბრაგანზის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია
- კვიპროსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, კვიპროსი

პროექტის მხარდამჭერები:

- ლუბლიანის ბიზნესის სკოლა, სლოვენია
- ბელგრადის საბანკო აკადემია, სერბეთი

მხარდამჭერი ასოციაცია:

- ევროპის მარკეტინგისა და მენეჯმენტის ასოციაცია (EUMMAS)

BTU-ს საქმიანობის კოჰერენცია საერთაშორისო მასშტაბით

- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი გახდა COST-ის პრესტიჟული სქემის European Network on International Student Mobility: Connecting Research and Practice-ის მენეჯმენტის კომიტეტის წევრი, რაც უნივერსიტეტს შესაძლებლობას მისცემს, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მკვლევარებისა და ლექტორების ჩართულობას COST-ის სხვადასხვა სქემაში;
- AmCham-თან თანამშრომლობით BTU ჩაერთო ამერიკის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების სერიაში;
- BTU-მ უმასპინძლა ბრაგანზის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 4 კაციან დელეგაციას (პორტუგალია). ვიზიტის ფარგლებში განხილულ იქნა მიმდინარე თანამშრომლობა და დაიგემა სამომავლო აქტივობები;
- BTU-მ უმასპინძლა სამხრეთ აფრიკის იოჰანესბურგის უნივერსიტეტის დელეგაციას სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვა/განხილვის მიზნით.

ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროექტები

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში კოორდინირებას / ადმინისტრირებას უწევს 22 მიმდინარე პროექტს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლების მიმართულებით პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. ამას გარდა, დაფინანსდა 12 ახალი პროექტი. დამატებით ველით 30-მდე ახალი პროექტის დაფინანსების შედეგს.

ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი - HEIN4

- ინდუსტრია 4.0-ის ლაბის ფარგლებში ჩატარდა რობოტიკის ტრენინგი სკოლის მოსწავლეებისთვის;
- ინდუსტრია 4.0-ის ლაბის ფარგლებში დაიგეგმა VR ტექნოლოგიების გამოყენებით ინდუსტრიული პარტნიორების მოკლევადიანი ტრენინგები;
- განხორციელდა ფიზიკური სასწავლო/საკოორდინაციო ვიზიტი სტოკჰოლმის ტექნოლოგიურ სამეფო ინსტიტუტში, შვედეთში საუკეთესო პრაქტიკებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- 2022 წლის ოქტომბრისთვის დაიგეგმა ინდუსტრია 4.0 კონფერენცია თბილისში.

ერაზმუს+ ჟან მონეს პროექტი - EU-ENERGY-SSDP

- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ყოველდღიურ ადმინისტრირებას უწევს პროექტს და კავშირი აქვს ბრიუსელის სათავო ოფისთან პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;
- მომზადდა და სასწავლო გეგმაში ჩაერთო პროექტით გათვალისწინებული 2 სილაბუსი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის:
 - EU Energy Security Policies
 - Renewable Energy Policies in EU and Georgia

შვედური ინსტიტუტის პროექტი - BALTIC UNIVERSITY NETWORK FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT OF ACADEMIC TALENTS TALNET

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კოორდინირებით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სტოკჰოლმის ტექნოლოგიურ სამეფო ინსტიტუტსა და ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ახალი მასშტაბური საერთაშორისო პროექტი დაიწყო.. Baltic University Network for International Development of Academic Talents – TALNET პროექტი მიზნად ისახავს შვედეთისა და ესტონეთის წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების გზით BTU-ს მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობას და მათ პროფესიულ განვითარებას.

პროექტი შვედური ინსტიტუტის დაფინანსებითა და მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში იგეგმება პროექტის საწყისი შეხვედრის ორგანიზება ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში.

EMDM - ერაზმუს მუნდუსის ერთობლივი დიზაინის პროექტი DATA DRIVEN DIGITAL MARKETING

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კოორდინირებით 2022 წლის სექტემბრიდან პრესტიჟული ერაზმუს მუნდუსის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის დიზაინის შექმნის პროექტი დაიწყო.

ევროკავშირის 2021-2027 წლების ციფრული განათლების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების შესაბამისად, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა გააერთიანა ევროკავშირის 5 ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუცია და პროფილური საერთაშორისო ასოციაცია “ციფრული მარკეტინგის და მონაცემთა ანალიზის” ინოვაციური სამაგისტრო პროგრამის დიზაინის შესაქმნელად.

პროექტის მიზნებია:

1. ციფრული მარკეტინგისა და მონაცემთა ანალიზის მაღალი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის დიზაინის შექმნა;
2. საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკების გათვალისწინებით, პროგრამის ინოვაციური და ინტერნაციონალური კურიკულუმის შექმნა;
3. პროექტის ფარგლებში სტუდენტებისთვის პროგრამის განმახორციელებელ 3 სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობის შექმნა;
4. ხარისხის უზრუნველყოფის, აკრედიტაციის და აღიარების საერთო მექანიზმების შემუშავება;
5. საქართველოსა და ევროკავშირის 5 ქვეყნის წამყვან ინდუსტრიებთან პარტნიორობის დამყარება/გაძლიერება სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

BTU-ს გუნდს შემოუერთდა:

- 45 ახალი აკადემიური პერსონალი;
- 134 მოწვეული ლექტორი;
- 7 ადმინისტრაციული პერსონალი;

მენარმეობა, ინოვაციები და ტექნოლოგიები BTU-ში

■ BIG IDEA CHALLENGE

BTU-ს წარდგენილმა სტარტაპმა UPWAY-მ გაიმარჯვა Digital Technology კატეგორიაში.

■ UN WOMEN EXPO 2022

გაეროს ქალთა ორგანიზაციის ორგანიზებით 1 ოქტომბერს „ექსპო ჯორჯიაში“ ტარდება მეწარმე ქალების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. მეწარმეობის ცენტრი არის ღონისძიების ერთ-ერთი პარტნიორი. ჩვენი ჩართულობით მონაწილეებისთვის გაიმართება Founder's Gap პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დავფარავთ ისეთ თემებს, როგორებიცაა: ბიზნესგეგმა, ეფექტური კომუნიკაცია, ეფექტური პრეზენტაცია.

■ DIGITAL ECOSYSTEM DIGEST

BTU-ს მეწარმეობის და BTU-ს კვლევების ცენტრების ინიციატივით სექტემბრიდან დაიწყო ყოველთვიური ელექტრონული კვლევითი ანგარიშის გამოცემა - „Digital Ecosystem Digest“, რომელიც მიმოიხილავს მიმდინარე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ტენდენციებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.

■ ევროპის ინოვაციების აკადემიასთან თანამშრომლობა

თანამშრომლობის ფარგლებში BTU-მ დააფინანსა ერთ-ერთი სტუდენტის (ალექსანდრე კოპალაძე) ბუთექმფში მონაწილეობა. ბუთექმფის ფარგლებში სასწავლო პროგრამა კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის - სუტარჯას მეწარმეობისა და ტექნოლოგიის ცენტრის ფაკულტეტისა და სილიკონის ველის სხვადასხვა წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა წარმართეს. ინოვაციისა და მეწარმეობის ლიდერობის ბანაკში მონაწილეობა მიიღო ჯამში BTU-ს ოთხმა სტუდენტმა.

■ VENTURE DEALS თარგმნა და გამოცემის პროექტი

პალიტრა ჯგუფის დახმარებით იწყება ერთ-ერთი ბესტსელერი წიგნის თარგმნა და გამოცემის პროექტი. Venture Deals -თან დაკავშირებით რეკომენდაცია გაგვიწია Martin Trust Center-ის მენეჯერმა, რომელმაც განმარტა, რომ ეს ერთ-ერთი წამყვანი წიგნია სტარტაპისთვის დაფინანსების აწევის პროცესში.

■ AMA SESSION WITH BILL AULET & OTHER MEETINGS WITH MTC

ბოლო კვარტლის განმავლობაში Martin Trust Center-ის წევრებისთვის ჩატარდა არაერთი შეხვედრა, რომლებსაც ესწრებოდა მეწარმეობის ცენტრის წარმომადგენელი. ასევე, ჩვენი ინიციატივით დაიგეგმა Ask me anything სესია ბილ ოლესთან, რომელიც 7 ოქტომბერს ჩატარდება BTU-ს ლექტორებისთვის.

UN Women - 500 ქალი ტაქტი

- დასრულდა პირველი ნაკადის ბენეფიციარების გადამზადება - გადამზადდა 344 ბენეფიციარი;
- პირველი ნაკადის ბენეფიციარებისთვის ჩატარდა ფართომასშტაბიანი დასაქმების ფორუმი და Pitch Yourself სესია, რომელშიც 50-ზე მეტმა კომპანიამ წარადგინა ვაკანსიები;
- პირველი ნაკადის ბენეფიციარების გადამზადების პარალელურად ციფრულ მარკეტინგსა და ციფრული პროდუქტების ტესტირების მიმართულებით გადამზადდა 58 უკრაინელი ბენეფიციარი;
- დაიწყო მეორე ნაკადის ბენეფიციარების გადამზადება ტექ, ინგლისურის, Front-end დეველოპმენტის, Back-end დეველოპმენტის, ციფრული პროდუქტების ტესტირების, UI/UX დიზაინის, გრაფიკული დიზაინის, ციფრული მარკეტინგის მიმართულებით - გადამზადებას გადის 310 ბენეფიციარი;
- USAID DAI-სთან თანამშრომლობით დამატებით მიმდინარეობს 40 ბენეფიციარის გადამზადება ციფრული პროდუქტების ტესტირების მიმართულებით.

SAFE HAVEN - უკრაინელი ქალების გადახადების პროექტი USAID-ის დაფინანსებით

6 უკრაინელი გოგონა წარმატებით განაგრძობს სწავლას ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მენეჯმენტის პროგრამაზე გაცვლითი სტუდენტის სტატუსით; იგეგმება სტუდენტი გოგონების მეწარმეობის მიმართულებით დამატებითი პროგრამების შეთავაზება.

აქსელერაციის პროგრამა ქალი აზროვნებებისთვის - USAID სოფლის მეურნეობის პროგრამა

წარმატებით მიმდინარეობს USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული აქსელერაციის პროგრამა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ქალ მეწარმეებზე ფოკუსირდება. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ინოვაციური სასწავლო სილაბუსი, რომლის საშუალებითაც 2 ნაკადად 30 ქალი მეწარმე გადამზადდება.

BOOK TRANSLATION GRANT აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით

აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა წამყვანი ამერიკელი ავტორების David Aaker-ის და Christine Moorman-ის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი წიგნის: “Strategic Market Management” მე-11 გამოშვების ქართულ ენაზე თარგმნა დაიწყო. პროექტი 2023 წლის სექტემბერში დასრულდება.

UNIVERSITY CAPACITY BUILDING PROGRAM UCBP აშშ-ს დაფინანსებით და აპერიკული საზოგადოების მხარდაჭერით

ამერიკული საბჭოებთან თანამშრომლობით BTU-ში წარმატებით მიმდინარეობს უნივერსიტეტების ინსტიტუციური განვითარების პროექტი. დაიგეგმა NCURA-დან ამერიკელი ექსპერტის ვიზიტი BTU-ში კვლევების კომერციალიზაციისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის მიმართულებით სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად და ერთობლივი აქტივობების განსახორციელებლად.

- USAID Economic Security Program-ის დაფინანსებით შექმნილ iOS/Android ლაბორატორიაში Apple-ის კოდინგის სკოლა ბავშვებისთვის დაარსდა. პირველი ეტაპზე იგეგმება კომაროვის სკოლის 20 მოსწავლის გადამზადება SWIFT-ის პროგრამულ ენაში;
- ჩატარდა 2 ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის ტექნოლოგიური ტრანსფერისა და საუნივერსიტეტო კვლევების კომერციალიზაციის შესაძლებლობების შესახებ ამერიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით.
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრა სინთეზური ბიოლოგიის კვლევის, Max Planck-ის ინსტიტუტის პროფესორთან - Jakob Schweizer-თან;
- BTU -ს მხარდაჭერით, თბილისში devops და IT უსაფრთხოების საკითხებზე რეგიონული კონფერენცია Devsecops Inspire გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში BTU-მ მემორანდუმი გააფორმა 50 ორგანიზაციასთან

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის; მონაწილეობა 42-მა სტუდენტმა მიიღო. განსხვავებული თემატიკის ირგვლივ შესრულებული სტუდენტური ნაშრომებით მომზადდა კრებული და გამოვლინდა განარჯვებულები;

BTU -ში კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობების შეჯამება და აკადემიური აფილირებული პერსონალის შუალედური სამეცნიერო კვლევების პრეზენტაციები გაიმართა;

კვლევითი ცენტრის ინიციატივით, კომუნიკაციების კომისიასთან თანამშრომლობით, სამეცნიერო დისკუსია - "5G ტექნოლოგიები - თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევები";

BTU-ს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს ბოლო სამი თვის განმავლობაში კარიერული განვითარების ცენტრიდან ელ-ფოსტებზე გაეგზავნათ წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების მიერ გამოცხადებული სტაჟირების პროგრამები, 50+;

BTU-ს ბაკალავრიატისა და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს ბოლო სამი თვის განმავლობაში კარიერული განვითარების ცენტრიდან პირად ელ-ფოსტებზე გაეგზავნათ 150-მდე ვაკანსია.

- BTU -ს ასოცირებული პროფესორ ლადო სირაძის სწავლების მეთოდებმა საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა და სწავლების საუკეთესო პრაქტიკის ჯილდო მოიპოვა;
- BTU -ს რეგიონალური პრეაქსელერაციის მონაწილეებმა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 100,000 და 30,000 ლარიანი დაფინანსება მოიპოვეს!
- BTU -ში უსაფრთხოების კვლევების ახალი სამაგისტრო პროგრამა ამოქმედდება, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტსა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა;
- BTU -ს ლექტორის, მარია ღლონტის პირველი Agile Scrum-ის ქართულენოვანი კურსი Udemy-ზე გამოქვეყნდა. აღნიშნული ინფორმაციის შესახებ მომზადდა სტატია;

საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკის სახსარუბრა:

- გაგზავნა HBR-სა და ეკონომისტის სტატიების კრებული და ჟურნალის ახალი ნომრები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებთან;
- შეისყიდა ახალი რესურსები ახალი სამაგისტრო პროგრამისათვის და ახალი ლიტერატურის 64 რესურსი (როგორც ელექტრონული, ისე ნაბეჭდი);
- თანამშრომლების მიერ, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დამუშავებული იქნა 50-მდე ნაბეჭდი რესურსი, შესაბამისი წესის მიხედვით აისახა ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში
- BTU-ს ბიბლიოთეკამ საერთაშორისო Banned Book's Week - ის ფარგლებში,, 2 შეხვედრა ჩაატარა, სადაც შედგა წიგნების განხილვა. სპიკერები: მიხეილ ანთაძე, დავით გორგილაძე;